დუშეთის მაცნე

№2 (114)
20 სექტემბერი
2023 წელი

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პერიოდული საინფორმაციო ბიულეტენი. ვრცელდება უფასოდ

ირაკლი ღარიბაშვილი:

„შარშან ჩვენ გვქონდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რეკორდული მაჩვენებელი. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ისტორიულ მაქსიმუმზე იყო. ორ მილიარდ დოლარზე მეტი შემოვიდა შარშან. წელს, მეგობრებო, ასევე ძალიან კარგად დავიწყეთ წელი. მეორე კვარტალში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების თითქმის 30%-იანი მატება გვაქვს, რამაც 505 მილიონი დოლარი შეადგინა მეორე კვარტალში. ჯამურად, პირველ ექვს თვეში, იანვარ-ივნისში, 1 მილიარდ დოლარზე მეტი შემოვიდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სახით, რაც 10%-ით მეტია წინა წელთან შედარებით და თუ ამას შევადარებთ 2019 წელს, 88%-ით მეტია ეს მოცულობა...“

2-3

ქართული ალპინიზმი 100 წლისაა

6

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის გადაწყვეტილებით

- ფინანსური დავალიანების მიზეზით სტატუსშეჩერებულ სტუდენტებს არსებული დავალიანება გაუნულდებათ
- გადაწყვეტილება შეეხება 30 000-მდე სტუდენტს
- დავალიანების ჯამური მოცულობა 40 მილიონამდე ღარია

სტიქიური მოვლენების შედეგების ასარიდებლად

3

დუშეთის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროგრამის დებულების დამტკიცების შესახებ

5

„დუშეთობა - მთაბარობა“ 2023 წელი (ფოტოქრონიკა)

8

დუშეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის 6 თვის შესრულების მიმოხილვა

4

ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, მთავრობის სწორი პოლიტიკის შედეგად საქართველოში პროგნოზირებადი გარემოა შექმნილი



„შარშან ჩვენ გვქონდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რეკორდული მაჩვენებელი. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ისტორიულ მაქსიმუმზე იყო. ორ მილიარდ დოლარზე მეტი შემოვიდა შარშან. წელს, მეგობრებო, ასევე ძალიან კარგად დავიწყეთ წელი. მეორე კვარტალში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების თითქმის 30%-იანი მატება გვაქვს, რამაც 505 მილიონი დოლარი შეადგინა მეორე კვარტალში. ჯამურად, პირველ ექვს თვეში, იანვარ-ივნისში, 1 მილიარდ დოლარზე მეტი შემოვიდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სახით, რაც 10%-ით მეტია წინა წელთან შედარებით და თუ ამას შევადარებთ 2019 წელს, 88%-ით მეტია ეს მოცულობა...”

მეორე კვარტალში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 30%-იანი მატება გვაქვს, რამაც 505 მილიონი დოლარი შეადგინა მეორე კვარტალში, ჯამურად, პირველ 6 თვეში 1 მლრდ დოლარზე მეტი შემოვიდა, რაც 10%-ით მეტია წინა წელთან შედარებით და თუ ამას შევადარებთ 2019 წელს, 88%-ით მეტია ეს მოცულობა - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

პრემიერ-მინისტრის თქმით, ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ მთავრობის სწორი პოლიტიკის შედეგად საქართველოში პროგნოზირებადი გარემოა შექმნილი.

ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ ქვეყნების მიხედვით მეორე კვარტალში ყველაზე დიდი მოცულობის ინვესტიცია შემოვიდა გაერთიანებული სამეფოდან და ძირითადი ინვესტიცია ევროპიდან არის შემოსული.

„შარშან ჩვენ გვქონდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რეკორდული მაჩვენებელი. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ისტორიულ მაქსიმუმზე იყო. ორ მილიარდ დოლარზე მეტი შემოვიდა შარშან. წელს, მეგობრებო, ასევე ძალიან კარგად დავიწყეთ წელი. მეორე კვარტალში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების თითქმის 30%-იანი მატება გვაქვს, რამაც 505 მილიონი დოლარი შეადგინა მეორე კვარტალში. ჯამურად, პირველ ექვს თვეში, იანვარ-ივნისში, 1 მილიარდ დოლარზე მეტი შემოვიდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სახით, რაც 10%-ით მეტია წინა წელთან შედარებით და თუ ამას შევადარებთ 2019 წელს, 88%-ით მეტია ეს მოცულობა.

რა თქმა უნდა, ეს ძალიან გვახარებს, ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ აქ პროგნოზირებადი გარემოა შექმნილი ჩვენი მთავრობის სწორი პოლიტიკის შედეგად. ინვესტორები დებენ ფულს საქართველოში, ენდობიან ამ გარემოს, რომელიც შექმნილია, ენდობიან სტაბილურობას, მდგრადობას და ზოგადად, პროგნოზირებადობას და ეს ძალიან სასიხარულოა. აქვე მინდა, კიდევ ერთხელ, ჩვენს რადიკალურ ოპონენტებს შევახსენო და ყველას, ვინც სკეპტიკოსია - არაფერი არ იქნებოდა, არც ინვესტიციები, არც ეკონომიკური ზრდა, პირიქით, ვიქნებოდით მინუს 10 და უფრო მეტ პროცენტში, ეკონომიკური ვარდნა იქნებოდა მინუს 10%-იანი და პირიქით, გადინება მოხდებოდა კაპიტალის, ხელისუფლებაში რომ ყოფილიყო აი, ეს სამშობლოგაყიდული, არ მოვერიდები ამის თქმას, უპასუხისმგებლო აგენტები და სხვა სახელმწიფოების ინტერესების გამტარებელი ე.წ პოლიტიკოსები. ეს არის მთავარი სხვაობა. ჩვენ, რა თქმა უნდა, ამას შევინარჩუნებთ. კიდევ უფრო მეტი ინტერესია ჩვენი, რომ კიდევ უფრო მეტი უცხოური ვალუტა შემოვიდეს, ეს გაამყარებს ჩვენს ეროვნულ ვალუტას. ზოგადად, ძალიან კარგია, რომ მეტი ინვესტიციები იდება ეკონომიკაში. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ქვეყნების მიხედვით მეორე კვარტალში ყველაზე დიდი მოცულობის ინვესტიცია შემოვიდა გაერთიანებული სამეფოდან. ევროპიდან არის შემოსული ძირითადი ინვესტიცია, ეს როგორც პირველ კვარტალში და ეს ძალიან გვახარებს, რომ შემოდის უცხოური კაპიტალი ქვეყანაში. ეს კიდევ და კიდევ მიუთითებს იმაზე, რომ სტაბილურობაა ქვეყანაში და ისინი ენდობიან ჩვენ მიერ შექმნილ კონკურენტულ, თავისუფალ და გამჭვირვალე გარემოს, რომელიც ჩვენ შევქმენით ბოლო 10 წელია ბიზნესისთვის“, - აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

როგორც პრემიერ-მინისტრმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა, 2020 წელს მთელი ქვეყნის მშპ დაახლოებით 50 მილიარდი ლარი იყო, წელს 80 მილიარდ ლარამდეა, ბოლო სამ წელში, დაახლოებით 30 მილიარდი ლარით გაიზარდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა.

ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ 2012 წელს მოქალაქეების დეპოზიტების საერთო მოცულობა 2 მილიარდ დოლარზე მეტი იყო და ამდენივე იყო ლარში, ახლა კი 23 მლრდ დოლარია, და 22 მილიარდია ლარში.

მისივე თქმით, კომერციულ ბანკებში განთავსებული დეპოზიტების რაოდენობა გაათმაგებულია.

„შედარებისთვის მინდა კიდევ ერთხელ მოვიყვანო, 2020 წელს მთელი ქვეყნის მშპ დაახლოებით 50 მილიარდი ლარი იყო, წელს 80 მილიარდ ლარამდეა. ანუ ბოლო სამ წელში, დაახლოებით 30 მილიარდი ლარით გაიზარდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა. ერთსულ მოსახლეზე გადაანგარიშებით თითქმის 8000$-ზე გადის წლის ბოლოს. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან დიდი ნახტომია. ამას სჭირდება შენარჩუნება, დაცვა და კიდევ უფრო მეტად გაძლიერება. მე ამას წინათ გავაკეთე ჩემს ერთ-ერთ ინტერვიუში კომენტარი და ვთქვი, რომ შედარებისთვის, 2012 წელს ჩვენი მოქალაქეების დეპოზიტების საერთო მოცულობა იყო, თუ სწორად მახსოვს, 2 მილიარდ დოლარზე მეტი დაახლოებით და ამდენივე ლარში. ახლა არის 23 მლრდ დოლარი, თუ არ ვცდები, და 22 მილიარდი ლარში. გაათმაგებულია კომერციულ ბანკებში განთავსებული დეპოზიტების რაოდენობა. ხალხი მდიდრდება, ეს მაგას ნიშნავს, რომ ბიზნესი ვითარდება, ქვეყანა ვითარდება, იზრდება, ძლიერდება და, რა თქმა უნდა, ეს არის ჩვენი სწორი პოლიტიკის შედეგი, რაც დაიწყო ბატონმა ივანიშვილმა და გაგრძელდა, ბოლო 10 წელია ამ კურსს და ტრენდს მივყვებით და ვინარჩუნებთ“, - განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მეორე მიმართულებით რაც გვაქვს - ეს არის ადგილზე ნიჭიერი, წარჩინებული, მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტების დაფასება, მათი წახალისება ერთგვარი, სტიპენდიების სახით. დღეს მოქმედი პროგრამა ითვალისწინებს, დაახლოებით, 2500 სტუ-

გვ.3 →



← გვ.2 დენტზე 150 ლარის სტიპენდიას. ჩვენ ამ სტიპენდიას გავაორმაგებთ, დღეიდან გახდება 300 ლარი თითოეულ სტუდენტზე, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა. როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, 5000 წარჩინებული სტუდენტი მიიღებს სტიპენდიას.

„მინდა, კიდევ ერთი დადებითი, პოზიტიური ინფორმაცია გავუზიარო ჩვენს სტუდენტებს. მოგეხსენებათ, რომ ჩვენ სტუდენტებს მაქსიმალურად ვეხმარებით. პირველი, მინდა გამოვყო ჩვენი განათლების საერთაშორისო ცენტრი, ზოგადად, მინდა გითხრათ, რომ უკვე წლებია, ჯერ კიდევ პირველი პრემიერობის დროს დავაფუძნეთ აღნიშნული ცენტრი, 1000-ზე მეტი საუკეთესო, წარჩინებული სტუდენტი გავუშვით უცხოეთში, საუკეთესო უნივერსიტეტებში და სრულიად უფასოდ ვასწავლეთ მათ. ასევე, შედარებისთვის მინდა გავიხსენო ისიც,

„ჩვენ ამ სტიპენდიას გავაორმაგებთ: დღეიდან გახდება 300 ლარი თითოეულ სტუდენტზე და 5000 წარჩინებული სტუდენტი მიიღებს სტიპენდიას"

რომ ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები, მათ შორის, ყოფილი პრეზიდენტი, საკუთარ შვილს აფინანსებდა ბიუჯეტიდან და საკუთარ ოჯახის წევრებს აფინანსებდნენ ბიუჯეტიდან, უფინანსებდნენ სწავლას, ეს არის განსხვავება. ჩვენ 1000-ზე მეტი საუკეთესო, წარჩინებული სტუდენტი შევარჩიეთ და ვასწავლეთ უცხოეთის საუკეთესო უნივერსიტეტებში. რა თქმა უნდა, ეს ადამიანები ბრუნდებიან, ზოგი ბრუნდება, ზოგი არა მარტო სახელმწიფო უწყებაში, არამედ კერძო სტრუქტურებში საქმდებიან და ეს ჩვენი სიმდიდრე და სიძლიერეა. ჩვენ ამ პროექტს, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო მეტად გავაძლიერებთ, ახალი მინისტრი მუშაობს ამ მიმართულებით.

მეორე მიმართულებით რაც გვაქვს - ეს არის ადგილზე ნიჭიერი, წარჩინებული, მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტების დაფასება, მათი წახალისება ერთგვარი, სტიპენდიების სახით. დღეს მოქმედი პროგრამა ითვალისწინებს, დაახლოებით, 2500 სტუდენტზე 150 ლარის სტიპენდიას. ჩვენ ამ სტიპენდიას გავაორმაგებთ, დღეიდან გახდება 300 ლარი თითოეულ სტუდენტზე და 5000 წარჩინებული სტუდენტი მიიღებს სტიპენდიას. ეს, რა თქმა უნდა, შეიძლება სიმბოლური იყოს, მაგრამ ეს არის ჩვენი მხრიდან ჟესტი, დაფასება ჩვენი სტუდენტების. ეს კრიტერიუმები, რომლებიც შემუშავდება, დამტკიცდება მინისტრის ბრძანებით," - განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

სტიქიური მოვლენების შედეგების ასარიდებლად

დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის „ფეისბუკის" გვერდის ინფორმაციით, შატილის ადმინისტრაციულ ერთეულში სტიქიის საპრევენციო ღონისძიებები აქტიურად ხორციელდება.

პროექტების მიმდინარეობას მცხეთა-მთიანეთის მხარის სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილე გიორგი ჩიფჩიური დუშეთის მუნიციპალიტეტის მერთან - მანანა ნარიმანიძესთან და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად გაეცნო.

ამ ეტაპზე სამუშაოები რამდენიმე ადგილზე მიმდინარეობს, მათ შორის - სოფელ შატილის კოშკებთან, მდ. არღუნზე ეწყობა ნაპირსამაგრი კედლები და გაბიონები, რომლებიც სტიქიის შედეგად დაზიანდა. სოფელ შატილში გრძელდება მუცოსთან დამაკავშირებელი საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები. აღნიშნულ ადგილზე გასულ წელს სტიქიის შედეგად ჩამოიშალა გრუნტი და მდინარის მიერ გამოირეცხა. ამჟამად კი, პროექტის ფარგლებში, დაგეგმილია გაბიონის კედლის მოწყობა. პროექტების ჯამური ღირებულება 600 000 ლარს აღემატება.

აღსანიშნავია, რომ სოფელ ანანურშიც მიმდინარეობს ანანური-ავენისის დამაკავშირებელი დაზიანებული ხიდის რეაბილიტაცია, ადგილზე ეწყობა ნაპირსამაგრი გაბიონებიც. პროექტის ღირებულება 200 000 ლარს აღემატება და უახლოეს მომავალში დასრულდება.

მიმდინარე სამუშაოებს დუშეთის მუნიციპალიტეტის მერი მანანა ნარიმანიძე მოადგილესა და ინფრასტრუქტურის სამსახურის ხელმძღვანელთან ერთად ადგილზე გაეცნო.

გაიმართა საკრებულოს მორიგი სხდომა

31 აგვისტოს გაიმართა დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე კახაბერ ჩიტაური უძღვებოდა. სხდომაზე მომხსენებლად წარდგნენ დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურების ხელმძღვანელები.

საკრებულოს წევრებმა განიხილეს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 6-თვიანი შესრულების ანგარიში. იმსჯელეს დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე, მათ შორის - უსახელო ქუჩების სახელდებაზე, შინაური ცხოველების მოვლა-პატრონობასა და მონაწილეობითი ბიუჯეტირების თემაზე.

დუშეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის 6 თვის შესრულების მიმოხილვა

(იბეჭდება შემოკლებით, დანართების გარეშე, ფორმატიდან გამომდინარე. სრული ვერსია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე www.matsne.gov.ge)

შემოსულობები:

დუშეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის 6 თვის შემოსულობების გეგმა განსაზღვრული იყო 12560,8 ათასი ლარით, ფაქტიურად შემოსულია 1514,7 ათასი ლარი (120,6%). მათ შორის: საკუთარი შემოსულობების გეგმა (სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან, საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოყოფილი ტრანსფერების გარეშე) განსაზღვრული იყო 8820,0 ათასი ლარით, ხოლო ფაქტიურად შემოსულია 11406,9 ათასი ლარი (129,3%).

შემოსულობები ცალკეული სახეების მიხედვით:

1. საგადასახადო შემოსავლები. მათ შორის:
   - ქონების გადასახადი - გეგმა - 2530,0 ათასი ლარი, ფაქტი - 3923,7 ათასი ლარი (155,1%);
   - დამატებული ღირებულების გადასახადი - გეგმა - 5600,0 ათასი ლარი, ფაქტი - 5666,5 ათასი ლარი (101,2%);

2. გრანტებიდან მისაღები შემოსავლები - გეგმა - 3740,8 ათასი ლარი, ფაქტი - 3740,8 ათასი ლარი (100%) მათ შორის:
   - მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად - გეგმა - 799,4 ათასი ლარი; ფაქტი - 799,4 ათასი ლარი (100%);
   - კაპიტალური დანიშნულების ტრანსფერის სახით მიღებულია 280,0 ათასი ლარი;
   - საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტი - გეგმა - 50,0 ათასი ლარი; ფაქტი - 50,0 ათასი ლარი (100%);
   - ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები - გეგმა - 2611,4 ათასი ლარი; ფაქტი - 2611,4 ათასი ლარი(100%);

3. სხვა შემოსავლები (არასაგადასახადო შემოსავლები) - გეგმა - 690,0 ათასი ლარი, ფაქტი - 1228,3 ათასი ლარი (178%) მათ შორის:
   - დეპოზიტზე დარიცხული პროცენტები - გეგმა - 100,0 ათასი ლარი, ფაქტი - 214,7 ათასი ლარი (214,7%);
   - მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის - გეგმა - 165,0 ათასი ლარი, ფაქტი - 187,5 ათასი ლარი (113,6%);
   - შემოსავალი მიწის იჯარიდან - გეგმა - 20,0 ათასი ლარი, ფაქტი - 71,0 ათასი ლარი (355%);
   - სანებართვო მოსაკრებელი - გეგმა - 5,0 ათასი ლარი, ფაქტი - 9,3 ათასი ლარი (186%) ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - გეგმა - 50,0 ათასი ლარი, ფაქტი - 62,1 ათასი ლარი (124,2%);
   - შემოსავლები მომსახურების გაწევიდან - გეგმა - 100,0 ათასი ლარი, ფაქტი - 149,7 ათასი ლარი (149,7%);
   - ჯარიმები, სანქციები და საურავები - გეგმა - 250,0 ათასი ლარი, ფაქტი - 407,0 ათასი ლარი (162,8%);
   - ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული (სახელმწიფოსადმი მიყენებული ზიანის ანაზღაურებიდან მიღებული შემოსავალი - 21,3 ათასი ლარი, შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან - 105,7 ათასი ლარი) მიღებულია 127,0 ათასი შემოსავლის ამ სახეში გეგმა გათვალისწინებული არ ყოფილა.

4. არაფინანსური აქტივების კლებიდან 6 თვეში მიღებულია 588,4 ათასი ლარი (შემოსულობა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გაყიდვიდან, რომელიც განლაგებულია ადგილობრივი თვითმმართველობის ტერიტორიაზე - 503,8 ათასი ლარი, შემოსულობა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო მიწების გაყიდვიდან - 9,3 ათასი ლარი (შემოსულობა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გაყიდვიდან, რომელიც განლაგებულია ადგილობრივი თვითმმართველობის ტერიტორიაზე 75,3 ათასი ლარი) შემოსავლის ამ სახეში გეგმა გათვალისწინებული არ ყოფილა.

იხ. დანართი N1 (დუშეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობების 6 თვის გეგმა-შესრულება).

გადასახდელები:

დუშეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის გადასახდელების 6 თვის გეგმა განსაზღვრული იყო 16012,3 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 13865,5 ათასი ლარი (86,6%) მათ შორის:

- წარმომადგენლობითი ორგანო (საკრებულო) - გეგმა - 543,4 ათასი ლარი, ფაქტი - 538,7 ათასი ლარი (99,1%);
- აღმასრულებელი ორგანო (მერია) - გეგმა - 2147,1 ათასი ლარი, ფაქტი - 2113,5 ათასი ლარი (98,4%);
- სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური - გეგმა - 49,2 ათასი ლარი, ფაქტი - 46,7 ათასი ლარი (94,9%);
- სარეზერვო ფონდის გეგმა 6 თვეში განსაზღვრული იყო 100,0 ათასი ლარით, საიდანაც 9,7 ათასი ლარი მიიმართა სოფ. შატილის დროებით ელექტროენერგიით მომარაგების უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებების დაფინანსებისათვის;
- წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ფონდი - გეგმა - 42,1 ათასი ლარი, ფაქტი - 42,1 ათასი ლარი;
- ინფრასტრუქტურის განვითარება - გეგმა - 7918,7 ათასი ლარი, ფაქტი - 6410,6 ათასი ლარი (81%);
- დასუფთავება და გარემოს დაცვა - გეგმა - 490,1 ათასი ლარი, ფაქტი - 439,4 ათასი ლარი (89,7%);
- განათლება - გეგმა - 2451,4 ათასი ლარი, ფაქტი - 2102,9 ათასი ლარი (85,8%);
- კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი - გეგმა - 1185,5 ათასი ლარი, ფაქტი - 1122,7 ათასი ლარი (94,7%);
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - გეგმა - 1094,5 ათასი ლარი, ფაქტი - 1048,9 ათასი ლარი (95,8%).

2023 წლის ბიუჯეტის 6 თვის გადასახდელები ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით ასე გამოიყურება: შრომის ანაზღაურება - გეგმა - 1682,7 ათასი ლარი, ფაქტი - 1673,3 ათასი ლარი, საქონელი და მომსახურება - გეგმა - 2302,2 ათასი ლარი, ფაქტი - 2250,9 ათასი ლარი, პროცენტი - გეგმა - 12,2 ათასი ლარი, ფაქტი - 12,2 ათასი ლარი, სუბსიდიები - გეგმა - 3552,8 ათასი ლარი, ფაქტი - 3223,2 ათასი ლარი, გრანტები - გეგმა - 19,2 ათასი ლარი, ფაქტი - 19,2 ათასი ლარი, სოციალური უზრუნველყოფა - გეგმა - 379,2, ათასი ლარი, ფაქტი - 362,4 ათასი ლარი, სხვა ხარჯები - გეგმა - 470,4 ათასი ლარი, ფაქტი - 372,9 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდა - გეგმა - 7563,7 ათასი ლარი, ფაქტი - 5921,5 ათასი ლარი, ვალდებულებების კლება - გეგმა - 29,9 ათასი ლარი, ფაქტი - 29,9 ათასი ლარი.

(იხ. დანართი N2 - დუშეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის 6 თვის გადასახდელების გეგმა-შესრულება; N3 - ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია).

ნაშთის ცვლილება:

2023 წლის დასაწყისისათვის დუშეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახაზინო ანგარიშზე ირიცხებოდა 8613,8 ათასი ლარი, ხოლო 2023 წლის 1 ივლისისათვის ნაშთმა შეადგინა 9896,0 ათასი ლარი (იხ. დანართი N4 - დუშეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება. დანართი N5 - დუშეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის 6 თვის ბალანსი).

საინფორმაციო ბიულეტენი „დუშეთის მაცნე“

ინტერნეტითაც ხელმისაწვდომია

მკითხველს საშუალება ეძლევა, ელექტრონულ ვერსიას გაეცნოს Facebook-ის დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გვერდზე.

დუშეთის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროგრამის დებულების დამტკიცების შესახებ

მიმდინარე წლის 31 აგვისტოს დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა დუშეთის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროგრამის დებულება.

ფორმატიდან გამომდინარე, მკითხველს ვთავაზობთ აღნიშნული დადგენილების განმარტებით ბარათს. სრული ვერსიის ნახვა შესაძლებელია ვებგვერდზე www.matsne.gov.ge

განმარტებითი ბარათი

(„დუშეთის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროგრამის დებულების დამტკიცების შესახებ“ დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე)

1. ნორმატიული აქტის პროექტის მიღების (გამოცემის) მიზეზი

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 85-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად მუნიციპალიტეტის ორგანოები და მუნიციპალიტეტის ორგანოების თანამდებობის პირები ვალდებული არიან, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველსაყოფად შექმნან ორგანიზაციული და მატერიალურ-ტექნიკური პირობები მოქალაქეთა მიღების, მოქალაქეებთან შეხვედრების, მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობაში, მათ შორის, კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომებში, მოქალაქეთა მონაწილეობისა და გადაწყვეტილებათა მიღების პროცესის გამჭვირვალობისათვის. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გაითვალისწინოს შესაბამისი პროგრამები.

პროექტი მიზნად ისახავს ბიუჯეტირების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის დამატებითი შესაძლებლობის გაჩენას. აქტის მიღების მიზანია, გაიზარდოს მოქალაქეთა ჩართულობა საჯარო ფინანსების მართვის სფეროში და გაიზარდოს დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის საქმიანობის ეფექტურობა განსახორციელებელი პროექტების ადგილობრივი მოსახლეობის პრიორიტეტების შესაბამისად შერჩევის გზით. პროგრამის ერთ-ერთი ამოცანაა გაეროს 2030 წლის მდგრადი განვითარების დღის წესრიგის მე-16 მიზნის და ძირითადი პრინციპების (მათ შორის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოსახლეობის ყველა ჯგუფის ჩართულობა, ინკლუზიურობა და ანგარიშვალდებულება) ადგილზე განხორციელების ხელშეწყობა.

2. აქტის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები

აქტი წარმოადგენს ბიუჯეტის შედგენის პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის მეთოდოლოგიურად დამუშავებულ, ნორმატიულად მოწესრიგებულ რეგლამენტს. პროექტით მტკიცდება დუშეთის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროგრამის დებულება, რომელიც თავის მხრივ განსაზღვრავს პროგრამის აღწერას, პროგრამის ადმინისტრირების პრინციპებს, ადგენს საპროექტო წინადადებებისათვის განსაზღვრულ კრიტერიუმებს, პროგრამის განხორციელების ეტაპებს და ა.შ. დადგენილების წარმოდგენილი პროექტით ასევე დამტკიცებულია მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროგრამის ფარგლებში მოსახლეობისგან შემოსული საპროექტო წინადადებების პირველადი გადარჩევის მეთოდოლოგია და მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროგრამის ფარგლებში გამარჯვებული პროექტ(ებ)ის განხორციელებაზე მონიტორინგის მეთოდოლოგია.

3. იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რომლებსაც გამოიწვევს წარდგენილი პროექტის მიღება (გამოცემა).

დადგენილების მიღება დამატებით აწესრიგებს ბიუჯეტირების პროცესს, განსაზღვრავს ბიუჯეტის პროექტის შედგენისას მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმებს და სხვა.

აქტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტის ხარჯვითი ან საშემოსავლო ნაწილის ზრდას/შემცირებას.

4. გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის პროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება:

აქტის მიღება დადებით ზეგავლენას მოახდენს გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე. აქტი თანაბრად ზრდის თვითმმართველობის განხორციელების პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობას მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ყველა მოქალაქისათვის, ის დამატებით მექანიზმს ქმნის როგორც ქალის, ასევე მამაკაცისათვის, არადიფერენცირებულად აძლევს შესაძლებლობას ქალს/მამაკაცს მონაწილეობა მიიღოს ბიუჯეტირების პროცესში.

ამავე დროს, პროგრამის ფარგლებში წახალისებულია ისეთი საპროექტო წინადადებების წარმოდგენა, რომელიც ემსახურება საზოგადოებაში გენდერული თანასწორობის პრინციპების დანერგვასა და გაძლიერებას, გენდერული დისკრიმინაციის აღმოფხვრას და შედეგებთან ბრძოლას. ამ მიზნით, თუ ასეთი საპროექტო წინადადება ვერ გაიმარჯვებს კენჭისყრის შედეგად, პროექტის სამუშაო ჯგუფს შეუძლია მუნიციპალიტეტის მერს წარუდგინოს დამატებითი წინადადება, გენდერული თანასწორობის პრინციპების დანერგვასა და გაძლიერებაზე ორიენტირებული იმ საპროექტო წინადადების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებაზე, რომელმაც მიიღო მოსახლეობის მეტი მხარდაჭერა.

გენდერული ასპექტების გათვალისწინების მიზნით, ჩატარდება გამარჯვებული პროექტის გენდერული ანალიზი და საჭიროების შემთხვევაში მოხდება პროექტის გადამუშავება იმგვარად, რომ მასში გათვალისწინებული იქნას გენდერულად სენსიტიური საკითხები. ამასთან, პროგრამის ამგვარი გადამუშავებისას, დასაშვებია პროექტის ბიუჯეტის 20%-ით ზრდა დამატებით გამოვლენილი ხარჯების დასაფარად.

5. ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ნორმატიული აქტის ზეგავლენის შეფასება:

აქტის მიღება დადებით ზეგავლენას მოახდენს ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე. წარმოდგენილი პროექტი, აძლევს რა შესაძლებლობას დუშეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ყველა მოქალაქეს 14 წლის ასაკიდან წარმოადგინოს საკუთარი იდეა (წინადადება), ხელს უწყობს მუნიციპალიტეტის საქმიანობაში ბავშვთა თანაბარ და ეფექტიან მონაწილეობას. აქტი ზრდის მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ განხორციელებული ბიუჯეტირების პროცესში ბავშვის ინტერესებზე უკეთ მორგებული მიდგომების დანერგვას.

6. ნორმატიული აქტის პროექტის ავტორი (ავტორები):

დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური

7. პროექტის წარმდგენი:

დუშეთის მუნიციპალიტეტის მერი მანანა ნარიმანიძე

ნიჩბოსნების ასპარეზობა

დუშეთის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანების ინფორმაციით, 9-10 სექტემბერს ქ. ბათუმში ჩატარდა ბათუმის საერთაშორისო რეგატა კანოე კაიაკში, სადაც მონაწილეობა მიიღეს სასპორტო სკოლის ნიჩბოსნებმა და მოიპოვეს შემდეგი საპრიზო ადგილები:

ეკატერინე ფიფია I ადგილი k1 200მ.

მარი წიკლაური - C1 200მ I ადგილი.

ნიკოლოზ ფიფია, გიორგი კორძაია - C2, III ადგილი.

ხატია ჭინჭარაშვილი - C1 200 მ, Iადგილი.

მარი ჭინჭარაშვილი - k1 200 მ, II ადგილი, მარი ფიფია - K1 200მ, I ადგილი.

ეკატერინე ფიფია, მარი ფიფია - K2, I ადგილი.

გუნდური ჩათვლა - 3 საპრიზო ადგილი.

ძვირფასო მკითხველო,



თექვსმეტი წელია, **„დუშეთის მაცნე“** გამოიცემა. ამ ხნის მანძილზე უამრავი რამ მოხდა ჩვენს ცხოვრებაში, ერთად გვიხაროდა და გვტკიოდა დუშეთის ცხოვრების სიახლეები, პრობლემები, ყველაფერი, რასაც ადგილობრივი ხელისუფლება აკეთებდა და აკეთებს... და ეს საინფორმაციო ბიულეტენიც ხომ იმისათვის არსებობს, რომ თქვენი სათქმელი ხელისუფლებამდე მიიტანოს და, პირიქით, მათი გადაწყვეტილებები და ნაფიქრი გაგიზიაროთ.

სურვილი გვაქვს, კვლავაც ერთად ვიაროთ, გავუზიაროთ ერთმანეთს ტკივილიც და სიხარულიც. ამიტომაც გთხოვთ, მოგვწეროთ, გამოხატოთ თქვენი დამოკიდებულება თქვენ მიერვე არჩეული ხელისუფლების მუშაობისადმი, იმ პროექტების მიმართ, რომელიც ბოლო პერიოდში ხორციელდება დუშეთში. შევეცდებით, კვლავაც აქტიურად გავაშუქოთ ის საკითხები, რომლებიც გაინტერესებთ. რედაქცია ელის თქვენს წერილებსა და გამოხმაურებას.

რედაქცია

ქართული ალპინიზმი 100 წლისაა

ვიდრე საიუბილეო თარიღზე საუბარს დავიწყებთ, უპრიანი იქნება გავიხსენოთ დიდი ნიკო კეცხოველის სიტყვები იმ კაცზე, რომლის სახელთანაცაა დაკავშირებული ქართული (და საბჭოთა) ალპინიზმის ისტორია.

- მე რომ მკითხონ - როგორი გინდა, რომ ქართველი კაცი იყოსო, დაუყოვნებლივ ვუპასუხებდი, ისეთი, როგორიც გიორგი ნიკოლაძე იყო!

აქვე ორ განსხვავებულ პასუხსაც გავიხსენებ შეკითხვაზე - „რატომ დადიან მთაში? რას ეძებენ? რა დაჰკარგვიათ?“

- იმიტომ, რომ მთები არსებობს“ - ჯორჯ მელორი, ინგლისელი ალპინისტი.

- „იმიტომ, რომ აქ ასეთ ბრიყვულ შეკითხვებს არ იძლევიან“ - როჟე ბერნარდინი, ფრანგი ალპინისტი.

როდიდან იღებს სათავეს ალპინიზმის ისტორია?

ვინ იყო პირველი მთამსვლელი მსოფლიოში და როდის დაიწყო მთამსვლელობა?

ევროპელები ამტკიცებენ, რომ თანამედროვე ალპინიზმს, როგორც სპორტს, საფუძველი ჩაეყარა 1786 წელს, როდესაც ალპების უმაღლეს მწვერვალ მონბლანზე (4801 მ.ზ/დ) ავიდნენ ფრანგი გლეხი ჟაკ ბალმა და ექიმი პიკარი (ტერმინი „ალპინიზმი“ ალპებზე ასვლის გამო გაჩნდა- ბ.ა).

ამავე დროს ოთარ გიგინეიშვილს, რომელიც დიდხანს ედგა სათავეში საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციას, მოაქვს ცნობა იოანე ბატონიშვილის „კალმასობიდან“, რომ ვინმე იოსებ მოხევე ასულა „მყინვარსა მთასა შინა, კაცთაგან მიუვალსა“ (5054 მ. ზ/დ), უნახავს იქ კარავი აბრაამისა და ნაჭერი მისი მიურთმევია მეფე ერეკლესთვის.

ახლა შეუძლებელია დავაზუსტოთ - ჟაკ ბალმა და პიკარი უფრო ადრე ავიდნენ-მონბლანზე თუ იოსებ მოხევე - მყინვარზე. ერთი კი ცხადია, რომ მათი ასვლები დაახლოებით ერთ პერიოდში ხდება - ჩვენთან ერეკლე მეორის მეფობის დროს.

გაზეთის ფორმატიდან გამომდინარე ამ წერილში ვერ მოხერხდება მსოფლიო თუ ქართული ალპინიზმის მიღწევებსა და ტრაგედიებზე საუბარი, ამიტომ მოვუბრუნდეთ ამ საიუბილეო თარიღს, რომელზეც არავინ დაობდა „საბჭოთა კავშირის“ დროსაც კი:

პირველი ქართული (ჯგუფური, სპორტული) ასვლა მყინვარწვერზე განახორციელა პროფესორი გიორგი ნიკოლაძის თვრამეტკაციანმა ჯგუფმა 1923 წლის 28 აგვისტოს.

ეს თარიღი ითვლება ქართული და, საერთოდ, მაშინდელი საბჭოთა ალპინიზმის დასაბამად.

(მყინვარწვერზე კი პირველი ინგლისელი იურისტი და მთამსვლელი დუგლას ფრეშფილდი ავიდა 1868 წელს.)

„საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების მოამბეში“ მყინვარზე პირველი ჯგუფური ასვლის ვრცელი რეპორტაჟი დაბეჭდა გიორგი ნიკოლაძემ, ხოლო 1983 წელს ეს რეპორტაჟი ცალკე წიგნად გამოიცა ზაზა აბზიანიძის რედაქციითა და წინასიტყვაობით.

გიორგი ნიკოლაძის წამოწყებულ საქმეს შემდგომ ათწლეულებში ღირსეულად აგრძელებდნენ საბჭოთა კავშირსა და მსოფლიოში კარგად ცნობილი ალპინიზმის ქართული სკოლის წარმომადგენლები. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებში მათ ერთდროულად უწევდათ „ჭიდილი“ როგორც სასიმაღლო ასვლებსა და ურთულეს კლდოვან კედლებთან, ასევე 30 კაციან საკავშირო მსაჯთა კოლეგიასთან. ერთი უკრაინელი და ორი შუა აზიელი მსაჯის ხმა 27 რუსის ხმასთან ზოგჯერ უძლური იყო, მაგრამ მაინც გამორჩეული იყო მათი შედეგები. ამ პირობებშიც კი ქართველი მთამსვლელები ხშირად იმარჯვებდნენ (ან საპრიზო ადგილებს იკავებდნენ) საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებსა თუ სხვადასხვა შეჯიბრებაში.

ქართველ მთამსვლელთა მიღწევების შესახებ თავის წიგნში - „მყინვარწვერიდან ევერესტამდე“ - ვრცლად მოგვითხრობს ბატონი ივანე ჯაფარიძე.

მანამდე ამ ჩვენთვის უცხო სფეროს 1970-იან წლებში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოგზაურობის მოყვარული სტუდენტები (რომელთა ნაწილიც მოგზაურებადვე დავრჩით) გიორგი ნიკოლაძის სახელობის ალპურ კლუბში ვეზიარეთ, რომლის პრეზიდენტიც მაშინაც და ახლაც ქართული მთამსვლელობის ერთ-ერთი პატრიარქი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, ბატონი შოთა მირიანაშვილია.

თსუ-ს ალპინიადები მაშინ ძირითადად ყაზბეგში, ხდის ულამაზეს ხეობაში ტარდებოდა და 1973 წელსაც, როდესაც მყინვარზე პირველი ასვლიდან 50-ე საიუბილეო ალპინიადის წევრები შევიკრიბეთ, პაატა ნაცვლიშვილი და მე აღმოვჩნდით მყინვარზე ამსვლელ ჯგუფში. მაშინ ასეთი წესი იყო - მყინვარზე ასვლის უფლებამდე, რამდენიმე მწვერვალზე ასვლის გამოცდილება უნდა გქონოდა. ეს „გამოცდილება“ კი მე და პაატას წინა ალპინიადების დროს „ყურუზე“ (4091 მ.) და „გორზე“ (4150 მ.) გვქონდა მიღებული.

ეს ასვლა, გარდა იმისა, რომ ჩვენთვის პირველი იყო, კიდევ ბევრი რამის გამო დარჩა დაუვიწყარ მოგონებად. განსაკუთრებულად კი იმიტომ, რომ 50-ე საიუბილეო ასვლაში ჩვენთან ერთად მოდიოდა 1923 წლის პირველი ასვლის ერთ-ერთი მონაწილე, 70 წლის (...მაშინ რომ „ბებერი“ გვეგონა...) ქალბატონი მარო ტყავაძე.

მარშრუტზე გასვლამდე ხდეში ერთ კვირას გავჩერდით და საღამოობით, კოცონთან, სიამოვნებით ვისმენდით ქალბატონი მაროს მოგონებებს გიორგი ნიკოლაძესა და პირველ ასვლაზე.

მას შემდეგ გავიდა ათწლეულები, იყო მყინვარზე ასვლებიც და სხვადასხვა მიზეზის გამო უკან მობრუნებებიც.

რადგან ერთიმეორისგან დამოუკიდებლად წარმოუდგენელია ტურიზმისა და სამთო-სათავგადასავლო მარშრუტების არსებობა, მოკლედ შევეხები ჩვენს საერთო საქმიანობასაც.

ე.წ. „რეორგანიზაციის“ მიზეზით, რამდენიმე წლის წინ დუშეთის მუნიციპალიტეტში გაუქმებული(!) ტურიზმისა და ძეგლთა დაცვის სამსახურების ნაცვლად შეიქმნა „ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და ტურიზმის განვითარების ცენტრი“ და სამსახურებრივადაც დავუკავშირდით ძველ მეგობრებს - მცხეთა-მთიანეთის ტურიზმის საინფორმაციო ცენტრს, თსუ გიორგი ნიკოლაძის სახელობის ალპურ კლუბს, მთამსვლელთა ფედერაციას.



შორს წაგვიყვანს იმ ხეობების, სოფლებისა თუ ნასოფლარების ჩამონათვალი, რომლებიც მარშრუტების, საოჯახო სასტუმროებისა და კვების ობიექტების, ძეგლების, ტურისტული გადმოსახედებისა თუ საკემპინგე ადგილების აღრიცხვისა და შესწავლისათვის მათ წევრებთან ერთად გავიარეთ წინა ფშავსა და უკანა ფშავში, პირაქეთ და პირიქით ხევსურეთში, მთიულეთში, გუდამაყარში (ზოგს რომ დღესაც ერთი და იგივე ჰგონია!), ჩვენი მუნიციპალიტეტის ბარის ზონაში და ასევე ჩვენს მეზობელ ყაზბეგში, თიანეთსა და თუშეთში.

...მაგრამ რამდენიმე მაინც უნდა აღინიშნოს, მითუმეტეს, მონაწილეთა შორის ძუნწად, მაგრამ მაინც იყვნენ ჩვენი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები (სამომავლოდ სასურველი იქნება ჩვენი ახალგაზრდების უფრო მეტი ჩართულობა ასეთ ღონისძიებებში):

- ორ-ორ კვირიანი, 60-60 კაციანი ორი ეტაპი უკანაფშავში, ბანაკი-მათურხევისა და ფშავის არაგვის შესართავთან. 2015 წ.

- უდროოდ წასული მომღერლის ალუდა ქეთელაურის სიცოცხლეში აუსრულებელი ნატვრა მყინვარზე ასვლისა, მისმა მეგობრებმა ალუდას ფოტოთი დამშვენებული დროშის მყინვარზე ატანით აღვნიშნეთ. 2015 წ.

- 2017 წელს ასი წლის შესრულდებოდა „მარად ჭაბუკი“ ლადო ასათიანი. ეს თარიღი ყაზბეგში, ჯუთის ჭიუხში არსებულ მისი სახელობის მწვერვალზე ასვლით აღვნიშნეთ. მწვერვალზე წასვლის წინ ვინახულეთ პოეტის ქალიშვილი მანანა ასათიანი, რომელმაც მშვიდობით ასვლა-ჩამოსვლა გვისურვა და თან გაგვატანა წიგნად გამოცემული ლადოს ხელნაწერების კრებული.

ლადოს სახელობის მწვერვალიდან კი მშვიდობით დავბრუნდით, მაგრამ, სამწუხაროდ, სულ მალე გამოგვაკლდა საიუბილეო ასვლის ორი მონაწილე - ავთანდილ გურასაშვილი და ჯემალ ქელეხსაშვილი.

- ასას ხეობაში (არხოტის თემი), ჭიმღის ჭიუხის მასივის ერთ-ერთ უსახელო მწვერვალს დავარქვით „გაბრიელ ჯაბუშანური“. 2018 წ.

- პირველი ასვლიდან 95 წლის საიუბილეოდ, 2018 წელს, ჩვენი „ცენტრის“ თაოსნობით ავედით მყინვარზე.

- დიდი სიურპრიზი ელოდა მყინვარზე 2020 წლის აგვისტოში ამომსვლელებს... სიყვარულის წინაშე მუხლმოყრილმა და ქედდადრეკილმა ჯემალ დამაცალაშვილმა მწვერვალზე ნიშნობის ბეჭედი გადასცა გურანდა ჭინჭარაულს. ეს ფაქტი მყინვარწვერზე პირველად მოხდა და, ჩემი და ჯეკოს გარდა, არავინ იცოდა მისი ჩანაფიქრი, მათ შორის, არც - გურანდამ და არც მამამისმა, სოსომ. იმ ემოციის სიტყვით, ფოტოთი თუ ვიდეოთი გადმოცემა, შეუძლებელია - ის უნდა გენახათ!

...და მოვიდა 2023, მყინვარზე პირველი ქართული ასვლიდან საიუბილეო მე-100 წელი.

ამ საიუბილეო ასვლაში მონაწილეობის „პირობა“ ჯერ კიდევ 2018 და 2020 წლებში ასვლებისას დამადებინეს ჩემმა ახალგაზრდა მეგობრებმა და ჩვენი ხუთეული (ბაბუა ალუდაური, ბერდია არაბული - პირველი ასვლა, ალექსანდრე ბურდული, ჯემალ დამაცალაშვილი და არმაზ წიკლაური - პირველი ასვლა), სათანადო წარწერიანი დროშით 1923 წლის 28 აგვისტოდან ზუსტად 100 წლის შემდეგ - 2023 წლის 28 აგვისტოს, 13 საათზე, მარადიულ და ულამაზეს მყინვარწვერზე ვზეიმობდით ქართული ალპინიზმის ასი წლის იუბილეს.

წელს, გარკვეული მიზეზების გამო, ჩვენთან ერთად ვერ წამოვიდა პაატა ნაცვლიშვილი (რა ჩამოთვლის მის პროფესიებს, მეგობრებმა, უბრალოდ „ბევრი პაატა“ დავარქვით), მაგრამ მყინვარზე საიუბილეო წელს ამსვლელთა ავტოგრაფებისთვის (ჩვენ გარდა კიდევ რამდენიმე ჯგუფი იყო იმ დღეს მყინვარზე) გაგვატანა თავისი 800-გვერდიანი კაპიტალური ნაშრომის ახლახან გამოცემული მეორე ტომი - „ცხოვრება გიორგი ნიკოლაძისა“.

პაატას თხოვნა შესრულებულია და ჩვენი და სხვა ჯგუფების წევრთა ავტოგრაფებიანი წიგნი ავტორს დავუბრუნეთ.

მადლობა მყინვარწვერს მიღებისა და გამოსტუმრებისათვის.

ბაბუა ალუდაური

150 წლის წინ დუშეთმა ილია გააცილა...

გამოსამშვიდობებელ სადილზე დუშეთის საზოგადოების სახელით მას პლატონ იოსელიანმა მიმართა:

,,თქვენ უყვარდით ყველას... გემშვიდობებით რა თქვენ და თქვენს მუზას, გისურვებთ (დაე, ეს სურვილი იყოს ჩვენი გულის პასუხიც), რომ თქვენი კვალი, კვალი თქვენი მუზისა, დატოვებული დუშეთის ჰორიზონტსა და მიწაზე, ყოფილიყოს გზის მაჩვენებელი მომავალი თაობისათვის, ნათელი და ნაყოფიერი - ურთიერთობაში, შვების მომცემი - ცხოვრებაში. გისურვებთ აგრეთვე, რომ იგი ყოფილიყოს ნიმუში თქვენი საქმის გამგრძელებლებისთვისაც...“

(ფოტოზე - ილია დუშეთის საზოგადოების წარმომადგენელთა შორის დგას მე-2 რიგში, მარცხნიდან მეოთხე)

ალექსანდრე ყაზბეგი და დუშეთი...



ალექსანდრე ყაზბეგის ოჯახი დაკავშირებული იყო დუშეთთან: მწერლის მამიდა, სოფიო ყაზბეგი, ცოლი გახლდათ დუშელი მემამულის - გრიგოლ ყარანგოზიშვილისა.

ალექსანდრეს მამა - მიხეილ ყაზბეგი ხშირად კარეტით სტუმრობდა დას.

როგორც გიორგი მოზდოკელი გადმოგვცემს, ყაზბეგების ოჯახი სრული შემადგენლობით, ამასთანავე, მოსამსახურეებითა და ქორ-მეძებრებით, ერთი კვირის განმავლობაში სტუმრობდა დუშეთს. ამ დროს მათ უთუოდ უმასპინძლებდა და ვახშამს გაუმართავდა ხოლმე დუშეთის ცნობილი კომისარი ზურაბ მორთულაძე.

წუთი წარსულიდან...

1900 წლის 28 აგვისტო. დუშეთი, სოფელი ყვავილი.

მარიამობის დღესასწაულზე დუშეთის მაზრის უფროსის თანაშემწე გიორგი დანიელის ძე ჭონქაძე (1855 -1915) საკუთარ სახლში მასპინძლობს დუშეთის საზოგადოების წარმომადგენლებსა და სხვა სტუმრებს (ზის პირველ რიგში, მარცხნიდან მე-3).

ფოტო წიგნიდან „დანიელ ჭონქაძის ცხოვრება და შემოქმედება“.

(დედანი დაცულია გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში).

ქ. დუშეთის წმ. ნიკოლოზის სახელობის საკათედრო ტაძარი

„დუშეთობა - მთაბარობა“. 2023 წელი. (ფოტოქრონიკა)

რედაქტორი
მიხეილ ჭონქაძე
✉ მისამართი: ქ. დუშეთი, რუსთაველის ქ.№27
(ადმინისტრაციული შენობის პირველი სართული).
გაზეთი დაკაბადონდა და დაიბეჭდა
შპს „ფავორიტი სტილში“



დუშეთის მაცნე

გამოდის 2007 წლის მარტიდან
დაბეჭდილ მასალაზე პასუხისმგებელია ავტორი, ან _ მითითებული ორგანიზაცია